


11 მაისი, 1908 წ.

ფასი გველგან 10 კ.

# იუდორისტ. უურნალი



თავისუფალი ვაჭრობა.

(იხ. მეზ გვ.)

## ცხვედაძის მოთქმა.

ხუთ წელიწადს გაშენებდი  
ნეტავი რათაო,  
ვაით გშობე ვუით გზარდე,  
რა დაგემართაო.  
რა ვიცოდი გაგწირავდენ  
გასაყიდათაო,  
ანუ ვალი ამოდენი  
ბანკის ემართაო.  
თითო თითო აგურზედა  
ცრემლი გაპურეო,  
გვერდი კირით შეგითეორე  
შეშტით დაგხურეო.  
გალავანსაც გიკეთებდი  
ლელეზე ბოგასო,  
ჩემი ძალა, ჩემი ღონე  
არ დამიზოგავსო.  
ეს იმედებს ვამყარებდი  
შენზედ დიდათაო,  
რა ვიცოდი გაგწირავდენ  
გასაყიდათაო.  
ინსპექტორს და მასწავლებლებს  
რა ენალებდათო  
თუკი ქანქარ-ჯამაგირი  
არ მოაკლებდათო.  
მტკიცე წრე აქვთ მიუვალი  
მაგრათ შეკრულიო,  
არ მიიღონ მარზე უფრო  
წარჩინებულიო.  
ვინც გამოჩენდა „ინვალიდი“  
აქ ნახა ბინაო,  
ვინც კი სამზღვარ გარეთ იყო  
და მოილხინაო.  
ვაი ჩემო კიდობანო  
ჩემი ტაძაროვო,  
ნუთუ მისოფის აგაშენე  
სხვას ჩაგაბაროვო.



## ახალი ამბები.

◆ საჩრდინო წყაროებიდან გავიგეთ, რომ  
ამურის რინის გზის კონკისია თავად ნიკო თავ-  
დგირიძეს მიეცაო. ქანი მასტერა ბინთა!

◆ ქუთაისის სატუსალში კიდევ ყოფილა  
ორი ტუსალი, რომელიც, მაუხელავათ მრავალ-ჯა-  
რი გადამდები სენისა, ჯერ აგათ არ გამხდარან.

◆ საზღვარ-გარეთ ზეობა დასრულებულ  
6. ლორთქიფანიძის წინადადებით „ნაკადულის“  
რედაქტირაში მოსალოდნელია შესდგეს კრება, რო-  
მელსაც მაზნათ აქვს სარდაქტირ კომისიიდან გა-  
მორიცხოს ი. გომართელი და მის ნაცვლად მიი-  
ღოს ნიშადურელი ზე გამოიყენოს ბ-ნი ხე-  
ობელი.

◆ სათავად-აზნაურო ბანკში თავისუფალ აღ-  
გილზე დანიშნულია კონკისი. საუკეთესო გალან-  
ძლე 1905 წლის მოძრაობასა. ეკუთხილსა და ხე-  
ობელს უფლება აღარა აქვთ კონკისში მანაწი-  
ლების მიღებისა. აღგილი რეა თუმნიანია.

◆ ცნობილი ფსიხოპატი ევგენი დვალი ახალი  
გაზეთის გამოცემას აპირობს. საჭირო თანხის მოგ-  
როვებას უვე შეუდგა რაჭელ მეპურეა შორის.  
ამბობენ, ამ წარმოებაში პავლე აკობია იღებს  
მონაწილეობასო „ლუქმა გავარდეს, ჯამში ჩაგარ-  
დეს“.

## თ ი მ ა რ ი თ ვ ა .

შე მართადს გეტევი, თუ გაშიგონებ,  
თუნდ სრულდაც ნე მომიწონებ,  
შენი საქმეა, მე არ მაქვს დავა,  
გიტევი, არ მისმენ— გაჭერება, წავა,  
მეის შეიძრევა მხოლოდ ჭარი  
და არ დარჩება ადარათერი...

მხოლოდ გულს დაკრაგს სევდის ღრუბელი  
და გამიტაცებს ფიქრი შეგბეჭდი...

მაგრამ თუ მისმენ, არ მთსტეუცდება,

ჩემ მიერ თქმებულს რომ ჩაუკარდები;

ნე გაგოტაცებს სიმდიდრე, ფული,

პირადი შეგა, განცხროშა სრული.

შით ნე ამაქობ და ნე იქადი,

ნივთიერა ის, ცვალებადი!

დღეს ის შენ გატებობს, ხეად სხეისი სდება,

ასე ეთვიდა, ასეც იქნება.

გახსოვდეს მუდმივ შრომისა შეიძლი,

ცხოვრებისაგნ მძიმედ დასჭიდი.

მას უნდა მმობდე, იმას შეეჭოდე.

რადგან შენც მის ხეედის უნდა ედოდე.

ცხოვრების აწმეთს ეგ სულ არ გაჲტვირს,  
მას ვინ შეხედავს და ასდებს აღვირს?  
შაშ, გაფიქრებდეს მაშერალთა ბედი,  
მონის უდედქეებ მოხრილი ქედი!  
ეცადე, ტანჯულს რომ დაქსმართ,  
თუნდა ამისთვის თველი დაღვართ,  
რადგან ეგ არის ჭეშმარიტება  
და აშ გვარ ღვაწლი გაცი არ გვდება!..

## 5. ჰომლეოლი.


## ს ა ნ თ ე ლ ი.

(არაკი)

შანდალზე დასკუპებული  
სანთელი მკრთალათ ბუტავდა,  
მიმობნეულსა სინათლეს  
მისას წყვდიადი სრუტავდა.  
მაგრამ, რადგანაც მიდამოს  
სხვა შუქი ასით ჰუენოდა,  
ამიტომ ლამის წყვდიადსა  
ცოტა სინათლეც შეენოდა.  
უცებ თენება დაიწყო...  
მზემ შუქი სტყორუნა არესა,  
უხვად მოჰუენა სინათლე  
ქვეყანას, მომლიმარესა.  
სანთელი გაწყრა, გაბრაზდა,  
ლანძლვით მიმართა სხივებსა,  
და ველარ იქრს თავის გულს,  
შურისგან განასივებსა.

მეც მომაგონდა ის ძველი  
„უნობილი მოლეაწენია“,  
რომელსაც ახალ ცხოვრების  
უნარი არ შეჩჩნია.  
ახალ სინათლეს ვერ უძლებს  
მათი კუუ და გონება,  
და ბნელეთს მიუხარითა--  
იქ არი მათი ცხონება.

ფ. რუშველი.




## მ. მართვა ეჯვაპისადღი.

ნათლი-ჯან ეშმაკო!  
ოუ გწამს ჯოჯოხეთიო,  
მოგვაშველე კულინი  
ას ოთხმოცი წვეთიო.  
ჩიბათის ხეისთავებს  
მოუხდება სხურება...  
ზოგიერთს მეტიც უნდა  
ზურგისა შეტურება.  
მამასახლისს და მწერალს  
რადგან ხელს აფარებენ  
და ამით კი ქურდებსა  
ალხენენ ახარებენ,  
ბოქაულსაც, მარა ჯერ—  
ვნახოთ დანაპირები,  
იქნებ მართლა იმასქნას  
ეგ ჩიბათის გმირები.



## პ ა ს უ ს ა თ

(თავალს ალექსანდრე მაჭურაძეს)  
„ნიშალურში“ დაბებეჭდა  
თქენენ წერილი, ალექსანდრე!  
დღემდე გედარ გაბასუხე,  
რადგან გედარ გნასე ადრე.  
მე თავიდას ნიგოთედს  
შცირე ლექსი თუ შევგადრე,  
იქ სახელდობრ არ რა მითქვაშს,  
თქენენ-კი თქენენ თავს რათ აკადრე?  
და სარგეში თუ კნაზო,  
დაინახე თქენენი თავი,  
და თუ კადეც თქენენ გაწერენ  
შეზიბდებო ან და სხეგაი?  
აქ აბა რა დაგვრჩნია  
შოსამართლის საკითხავი?  
და თუ შობით? მე რატომ ჭიშერ?!  
ვახ! შოგივედეს ჩემი თავი.  
ის თუ არ ჰეგავს თქენენს ცხოვრებას,  
შაშ ხომ ადარც შეგეხებათ,  
თუ შილბილი არა სტამეო  
არანგო, შირი რათ გეწებათ?  
შხანკოლდა.



## არი ექმაგი.

არკადის პრინცი.

**მეორე.** როდესაც გახლდი არკადის პრინცი  
ვეჭილი ვიყავ  
ძმაო ნაფიცი,  
ქალები იყო ჩემი თუნება,  
მათ ვეთაყვანო  
მომეცით ნება.

**შირგ.** გროვე! მკაფიოთ!

**მეორე.** (მორცხვათ) პრინცი რომ ვიყავ არკადიელი,  
მელის კუდი  
მიჩანდა გქელი,  
გამომცემლობას მოვკიდე ხელი  
სახე ფლიდი მაქვს  
წვერი წითელი...

**შირგ.** ბიზ! ვიცანი, ვიცანი. ბიზ!

**მეორე** (თამამთ).

პრინცი რო გახლდი არკადოვანი  
ლოთი ვიყავი  
და ახოვანი,  
დავსწერე ლანძღვა ვისიც ჯერ იყო  
ბანკში ჭლაგი  
გამომჩენიყო...

**შირგ.** ვააშადა! ბირიბიში!

**მეორე.** (აღტაცებული).

რდესაც ქართლის გახლდომრინცესი  
ზეობა მქონდა  
სჭულებული,

და ერთობისა მარად მკიცხველი  
ხეობელის ვარ  
მხოლოდ მკითხველი.

**შირგ.** ბო, ბო, ბოჭოომ! ბიიიზნი! ბრავოოოო!

**მეორე.** (თავმომწონეთ).

როდესაც ვიყავ არკადის თვალი  
სტუდენტთა კასის  
დამედვა ვალი,  
მაგრამ არა მსურს გადავიზადო  
თუმცა წერილი  
მომდის მრავალი...

**შირგ.** გაუმარჯოს! ბრავოოო. ბიიიზ!

**მეორე** (მელიდურათ)

პრინცი რომ გახლდი „ამირანელი“  
სოციალიზმა  
ჩავკიდე ხელი,  
მაგრამ ვაგლახა „პისუხი მცირე“  
არ იქნა ვეღარ  
გამოვიტირე...

**შირგ.** ბიზზზზზ! ბრავოოო!

**მეორე.** (აღფრთოვანებული)

პრინცი რო გახლდი მე იმერელი  
ზეობის სწავლად  
პარის წაველი...  
იქ შევისწავლე ლვინო და ქალი  
დღეს „ნიშადურის“  
გაცხდი მწერალი...

**შირგ.** ვაშა! ვაშა! ბიიზ!

**მეორე.** (უმეტეს აღფრთოვანებული)

პედაგოგის მქონდა სახელი  
პრინცი რომ ვიყავ  
მე არკადელი  
და „უჩებნიერი“ ერთი დავსწერე  
ლოცვა-კურთხევით  
უხვათ გავტერე...

**შირგ.** (გაჯავრებული) ძირს! ძირს! ძირს!

**მეორე.** (უფრო გაჯავრებული)

როდესაც გახლდით პრინც-ჩეუისორი  
არვინ მიჩანდა  
სცენაზე სწორი  
და ისეთ როლებს მოვკიდე ხელი  
რომ ვიყავ დიდია  
გასაკიცხველი.


**შირგ.** ვიცით, ვიცით! ძირს!..

**მეორე.** (აღშეოთებული).

მაშ წავა პრინცი არკადიელი  
წყრომით აღსავსე,  
არ გადრიელი

და კვალად ოლარ გამობრუნდება  
თუნდ ტაშის ცემით  
გაგისკდეს ხელი.  
(მიღის.)

შერქ. (ძლია ცემული) ბიაზზზზ! გაშა!  
(ფარდა).



### კ ა ლ ა მ ს .

რა ამავე სარ ჭრადმო  
შეს მოგდრებს შაშის ზარა,  
გენიას ცეცხლზე ნაწრთობი  
სიცოცხლის დროშა-ზარა.  
უსაზღვრო პრძოლის სიბრაზით  
გადმოჩქევის თველის დვარა,  
შეს ციურ ცვალო დაფრქვევით  
გრძნობას მოიცეს შევდარა.

შაგრამ ცხოვერება უნია  
დუხტინათ მოსაბრუნები,  
ვერ არუებს იმას გენია  
სალენი გასათბუნები,  
და სალის გულიც კრილია  
ვერ ათბობს ცეცხლი სხივები,  
შასთვის „ცნობადის“ ხილია  
მარგალიტ აზრთა მძიებია.

იგი ბედს ემთრჩიდება  
გრძნობები მოხუცებია  
და თმენა-თმენა გაძლება  
აი რა უფასებია.  
გულში ჩაუქლაგს ტანჯვები  
ნაღველი დაუტებია  
და კერპს საქვეუნო მონებია  
აი აქ დაუგებია.

რათ არ გასძლები ნადვეჭლ  
გრძნობები რათა შემორდები,  
ქვეწარმატა საბუდარს  
რათ არ გარიებები შეთრდები.  
უფსერო სევდის მორუეთ  
რატო არ დაიშრიტები,  
რათ არ მოქარგაგს სიცოცხლეს  
ციური მარგალიტები.

გენიას ცეცხლზე ნაწრთობი  
გემირუთი და გემუძნერები,  
გაალხე ციური გრძნობები  
შეს ცეცხლს თველს გენაცვალები.  
გათბე გული სალისა  
შაჟნანე მწერი თვალები

მოსწონდე სევდის დრუბელი  
მტანგველი გამაწვალები.

ეგლაგ აღამხედრე ბერპის წინ  
გარინდებული ძალები,  
ეგლაგ შოუკიდე სამსხვერპლის  
პენის ცეცხლის აღები,  
იმდერე საგათენებო  
საქვეუნო გასაგონები  
ნუ დადოხდები არ დასცხო  
შენს აფთარს დაგეპანები.

ვასილ ტუქსიშვილი.



### მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი .

გაზაფხულისა შვენებავ,  
ნაქებო თვეო მაისო,  
შესტვირულისა სათქმელათ  
გოხოვ კარგათ წამახალისო,  
ამიწყო გუდა ქამანჩა,  
გვერდით კი მუზა მამისო,  
ამბები ბევრი მათქმიო,  
მალლა მთის, დაბლა ბარისო.  
დორული კაცი გახლავარ,  
მნახველი ბევრი რამისო,  
და მსურს სტეირის ხმებს შევუწყო,  
რაც გულში ბოლმა არისო!  
ეხლა ამხავი დავიწყო,

ღმერთო მიმართე ხელიო,  
არ გამიჯავრდე ეშმაკო,  
შენგანაც შველას ველიო;  
წელში გამირქვე, გვთაყვა,  
შენი მათრახი მწველიო,  
რო არ დამირჩეს ნატვრის დროს  
ის ფანრით საძებნელიო;  
თან გზიდან ჩამომაცალე  
ვალიკო ჭიობელიო,  
გვარათ გუნიათ ხმობილი  
და დანოსების მთხველიო;  
მე დამიტოვე, შევამკო  
ბატონი ხელებიო,  
წინათ კოლიას ძმობილი,  
დღეს ბანკის კარის მცველიო.  
მახსოვს ერთ სოფელს ერთ დროში  
ჭაბუკი დანავარდობდა,  
ბიძიას მამულ-დედულში  
თავს მოურავათ ლამობდა,  
თან ამაყობდა, თან კიდევ  
უხეიროდაც ფრანტობდა,  
თუმც ვექილობა არ ქონდა,  
ყოველ ეამს აღვიყატობდა;  
გლეხების დასაჩბევთა  
ინგუშთა რაზმებს აწყობდა,  
გლეხს შავ დღეს გაუთენებდა,  
თუ სადმე წამოასწრობდა.

თან ახლდა რეინის მოძმენი:  
რევოლუცი-ხანჯალ-ხმალიო,  
ბერდანის თოფი ნაფერი,  
ზედ დაგრჩებოდა თვალიო,  
ახლა სულიერ მოძმეთაც  
ბევრი ყავს ჩასათვალიო:  
კოლა ნემსაძე, მიტუშა,  
ეს აბაშიძე მყრალიო,  
წერეთლის რაზმის ბიჭებიც  
მასთან გეინახაეს მთვრალიო,  
რომ უმდერინ დუქნებში  
„ჰარალი თარა-ლალიო“!

ამ აზნაურულ ჭაბუკმა  
ერთხელ გაიგო ამბათა,  
რომ უმიწაწყლო გლეხები  
მიღლენ ტყის გასაკაფათა,  
სურთ მოხნან, პური მოთესონ,  
თავს აიკდინონ ჭირია,  
ცოლ-შეილს საჭმელი უშოენონ,  
მოუსპონ გასაჭირია...

ჭაბუკი იქვე გაუჩნდა,  
მოუჩნდს ქუში პირია,  
ლერწამტანს შეენის აბჯარი

და საჭურველი ხშირია,  
მაგრამ გლეხებმაც იციან  
მაგვერ ყმაწვილის ნირია:  
„ჰერ მაგასაო“ დასხახეს,  
ცულებს უმარჯვეს პირია,  
ჩამოირექვეს თავდალმა,  
ვითარცა ჭალის ვირია,  
აჟყარეს მთელი სილალა,  
საომრად მონაპირია,  
და სამჯერ თავში შემოჰკრეს  
მისივე ხანჯლის პირია.  
ეს ოხერი დრო ასეა  
ყოველთვინ ცვალებადია,  
ყველა სულდემული იცვლება,  
რაც ღვთისგან დანაბადია!  
ის წინანდელი ჭაბუკი  
დღეს სულ სხვა გვარი ხვადია,  
ხეობელს ირქმევს სახელათ  
(ეს მისი პირის ბადეა),  
ვითომ გლეხთათეის ეხლა მას  
ბევრი სიკეთე სწალია,  
მაგრამ ეს თურმე ჩმახვაა,  
საპოლემიკო ფანდია;  
ამ ხრიკით ბანქში რთხმოცი  
ქანქარი განიმზადია,  
ზნეობის მქადაგებელი  
მუდამ წუმბეში აგდია,  
და უნამუსოს სახელი  
რომ უნდა ერქვას, ცხადია.

დასრულდა ესე ამბავი,  
ჩემგან თხრობილი მღერითა,  
ხეობლის ჭარსულს ამხანათ  
ცოტათ შევეხეთ წერითა,  
ჩემო ეშმაკო მიშველე  
შენი მათრახის წვერითა,  
ვწერ ვნნმე ეშმაკეული  
ქვესკნელით მონაბერითა,  
ბენუკა.



## პატარა ფელუტონი.

ჩემს სატრიბუნას.

(ლექსი პროსათ).

სატრიტო, მშეგნებავ, ედემისა ტურთა სურათო! ბროდ ქათქათ შებლს სევდის ჩრდილი გადაგვარვია!.. პრემია გვლისა, მითხარ, შეწმი რამ წარმოშეხა? რამ შოტტლი შეწმი ადრინიდედი შეება-ხალისი? როცა კისკი სით, სასამური შენი სიცილით, ან კიდევ ნაზი, ხმა სირი-ნოზ ტებილი სიძლერით და სიგებლუცით, ტრიტობის ალით გაშეუქმბდი ვერიმასა-ფართო თვალებით შემოხე-დფა-მოალერსებით ციურ ხატებას, გარმონის უზენას დმერთს ხარცს შეასხმდი, ჩემს წინ ცხადათ განაცხაფა-დებდი და იყვ ჩემი, მხოლოდ ჩემი... მაგრამ რას კამ-ბოდ? შენ შეც იყვაი და ამიტომ უკედას ათბობდი. მხო-ლოდ მთავარ სხივს, სიცოცხლის უძლიერეს ძარღვს ჩემი ტანჯულ გულში აკადებდი... გულს წელული აჩნდა, იარებით იურ მოცული და შენ ჰერნავდი, ათბობდი მას ციური ცეცხლით და ამისგამო იგი უეთქა, ტრკავდა ძლიერ და ელექტრონის მედგარ ძალას გადავიკდა... და ეს ძალაც ხომ შენი იურ, შენი განგრძობა! ისიც ჰერნავდ გულს შენავთობას, წელულ-იარანს, ისიც ათბობდა, აშებდა ცივ-უასენეთსა და ასე ქვეგნად იფან-ტოდა, არ ჰერებდა კი, რადგან ის იურ უკვდავება, მხოლოდ სიცოცხლე!

შერშე რა მთხოვა? რამ შესცემა ეს უკვეგნებე? ან ებ ცერმელები... მარა ცრემლი აღრეც გზებებია. როცა ტანჯულ გულს, სუსტის, უღონის, და-ვადებულს ელექტრ სახეს მასურობდი, ცხოველშეოფებულ სისის იმას ძნელს წიაღს ჩაატანდი, ჩააშექებდი, იძილავდი რა მის აღღის-ტის, განახლებასა, და - სიცოცხლისთვის ის რომ ჰგალად აფერობებდო, შენაც იშებდი, გახარებდა ესე შემთხვე-ვა და ნერაერის ცხარე ცრემლს თვალთ აფერებენებ-დი... მაგრამ ეს ცრემლი სელ სხა არა, სხა შიზე-ზითა. წინათ იშებდი, მაშვინ ცრემლიც შეებისა იურ. დღეს შისცემასარ ერთანად შეიმე კაშანს, რადაც ნა-დეველი, ჩემი სევდა გულს შეგარვია და ებ ცრემლიც დღეს მის გამო სევდის ცრემლია .. შენ გლოვაში ხარ! დას, მძიმე დანაგლია! იურ სიცოცხლე—დღეს უდე-ლი სულარშია, იურ სინათლე—დღეს კა ირგვლივ უშა ნეთა, კვლავ იურ სითბო—დღეს უდელი გარინდებულა და სლეუს გარემო, თითქოს სინივს გაუდინარად, თი-თქოს ქვად იქცა სიცოცხლით შროკავი გული...

შენ იგლოვ ამასი სევდის ჩრდილი სახეს დაბეგრია. მძიმე ფიქრთ ქვეშე თავ დახრილი ჰგი უმედოთ, თით-ქოს დაჭვარებე უმიმდავენ სამარადისთთ... მაგრამ მე?!.. აშემთხედე ამ გმირულ შეერდას! შენ სიცოცხლი მას-ში და იქნები მარად ასეთი! ის არ შესდგება არავითარ განსაცდლის წინა, თღონდ აცოცხლის თვისი სატრიტო,

თვისი იმედი! სატრიტო გულისთვის, გული კიდევ საუ-გარდისათვის — აი დევაზი! მტკიცე რწმენა ჩემი გული-სა ის შენთვის იწვის, ვით სამსხვერპლი ალ აღგზნე-ბული. შენთვის ტანჯული შენით ცოცხლობს, შენ გაი-მედებს... მაშ, შერს ეგ ფიქრი! გადახალე შებდს სევ-დის ფარდა და გვლავ შეიმტე მშეგნებისა შარავნდედით. ტრიტობის ალერსით შემთხებდე, გვლავ მომაშექმე, გა-მალე ტები გაზაფხულის ია-ვარდივით და ხმა გამტცი, გამაგონე სიტუეც-იმედი, რომ ელექტრონის საშერწყლად გულს დაგემმესოს, აღინთხს იგი ციურ მადლით აღტევ-ნებული, მეც აღმამდლოს, გამამსევოს, გამასაღისოს და მომცეს ძალა, რომ ცხოვრების ეკლიან გელზე და-გინთხე აფლად, თღონდ მოვსოთ მთლად ბოროტება! მივფანტოვანტო ტლანტი ძალის ბეჭდი ბერუსი, გაც-ცელ სარი, ამოთალიდ ძარში ეკალი და გაზაფხულის განთავადსა გზა გაუკათ, რადგან ის არის გარანტია, სრული თავმდები იმის, რომ ქვეუნად დამუარდება შება-სიამე! ჰეშმარიტება, სამართლი და სიევარული! და ჩემის ეკამირსაც გზად და ხიდათ ის დაედება!.. მაშინ დავტებები საამური შენი ცერიალით, სიცილ-კანკისით, ხმა სარარი შენი სიძლერით, განცხველდება ჩემს წი-ნაშე კვლავ გარმონია, იღეა ტრიტობის სიცოცხლესთან შეთანხმებისა და იმის ფრთხო ჰერე ჩემნც განვაგრძობთ წინსვლა ისევა მომავალისენ, უკეთესის მერმისისენ, საღაც მეუფობს უკვდავება მხალოდ საცოცხლე...

### 5. ზომლეოთლი.

\* \*  
(ლერმონტოვიდან)

კვლავ ისე შეგირცხლათ არა, არა, აღარ მაუვარხარ, ებ სიღამზუე აღარ მიძღვის თვის ბრწევინგლებას, შეწმი სიევარულს კა გატარებ თუმცა მარადის, მაგრამ მით გეტრია დაღუპულს წლებს, სიურმის წე-ლებას.

როცა სანდახან შემოგებდა და შენს თვალებში, ჩაგერებივარ ხანგრძლივათა დაგეირვებული, საიდუმლოთა მაშინ შედამ მე ვლაპარაკობ, მაგრამ საუბარს შენ არ გიძღვის იმ ღრთხს ეს გული!

მე ვლაპარაკობ მეგობართან უმაწვილურ წლების, შენსა ფარგლებში მინდა შოგია მისი ხატების, შეტეველ ბაგში გეებ ბაგეს დიდხანს მაუმარეს თვალებში—ცეცხლის სამუდამო მიმქრალ თვალების!..

### 6. ლეჩუმელი.





## ა ჩ რ დ ი ლ ი.


სულით მახინჯი,  
ზნებით წბილი  
ღვინით ნაფლენთი „მამულიშვილი“,  
(რადგან სინდისი  
არ ამხილებდა)  
მელანს და კალამს აცადვილებდა.  
კარგა ხანია  
ტვინის ხიცინი  
აწუხებს, როგორც მწერლობის ჟინი  
და „მეგობრებსა“  
გან სამსახური  
ბევრი მიუძღვნა ფრიად დათვური.  
ფლიდობა, ლანძღვა,  
ცილის-წამება,  
სალოცავია მისი,—სამება,

და აზრ კუდრაჭა  
გონება კრული  
ამაზე არის გადალეული.  
ის არ დაგიდეს  
საქმისა ბოლოს,  
ოლონდაც არის ლაფი ისროლოს,  
ახლაც ამ ურცხვემა,  
ძველებურათა,  
ვითომც ესდეკთა მოსამდურათა,  
მოულოდნელათ  
გამოაცურა  
საგურამოსი კარიყატურა.  
ამით ეგონა  
ამ უსუსურსა,  
მგოსანს უწევდა დიდ სამსახურსა;  
ესდენ მოკლეა  
გონება მისი  
და ასე დიდი — წერის ხალისი!!

უცებ, შეშფოთდა  
„მოღვაწე“ წბილი,  
თავს წამოადგა მგოსნის აჩრდილი  
და ნაძირალა  
ქართულ მწერლობის,  
ავტორი მრავალ სისულელობის,  
დააცეცებდა  
ცბიერ თვალებსა  
ამ მოჩვენებით დანამფრთხალებსა.  
ბოლოს ელირსა  
ხმას სამოსა:  
— „შეილო დაეხსენ საგურამოსა!  
მაგ მოგონებამ  
გულის ტკივილი  
სრულიად ვერა დამიამოსა.  
ვიცი გწადია  
შენ ჩემი ქება,  
მაგრამ ეს ამ გზით არ მოხერხდება;  
დაეხსენ კალამს,  
სხვას დააცალე

შენ კვლავ სცენაზე იმაჩანჩალე.  
„ნუ თუ“ არ გახსოვს  
თქმულება ხალხის,  
სადაც ეს დიდი სიბრძნე იმარხეის,  
რომ „მეგობარი  
ტვინით წამხდარი  
მტერზედ უმეტეს არს საშიშარი?“  
დაეხსენ შეილო  
საგურამოსა,  
ვერარას მეტყები სასიამოსა“.  
მაგრამ „მოღვაწე“  
კაცის შეამელი  
„ჭრშარიტია ნამდვილ ქართველი“  
და არც კი ფიქრობს  
სხვას დაუჯეროს,  
მუდმივ ჟამს უნდა იგაიძვეროს,  
თუმცა აჩრდილმა  
უკეთ იცოდა,  
სოფელში ლვაწლი რაც მიუძლოდა.

— კი.



## გათუშის გარდაცვალება და დასაცლავიჩა.

მწუხარებითა ვაუწყებთ,  
ვისაც შესტკივა გულია,  
რომ პორტის ქალაქს ბათუმსა  
უკვე ამოძვრა სულია.  
ავათმყოფობმ შექამა,  
დიდხანს ეწვალა საწყალი,  
მაჯა უცემდა სუსტათა,  
დასჩემდა გულის ფანცქალი.

უქანქარობის ბაცილა  
ფილტვებში ქონდა შემძვრალი.  
ტვინის ანთებაც გაუჩნდა,  
ქუუზედ გახდა შემწყრალი;  
წელშიც გაუჯდა წელყავი,  
დაბრმავდა ორივ თვალებით,  
ხრონიკულ უსაჭრობისგან  
კუჭიც გაუხმა სავსებით.  
და აპა, ველარ გაუძლო  
ამდენ ჭირთ შემოსევასა

და მიიცვალა, დაგვტოვა,  
გული დაგვწუცი ტა ჭველასა.

უკვე დამარხეს საწყალი,  
დაადვეს კატაფალკაზე  
და „ვაი-ვაის“ ძაბილით  
მიაჩანჩალეს საფლავზე.

ქალაქის თავი ივანე  
სულ შემოსილი შევითა  
უკან მისდევდა ცხედარსა,  
მოსთქვამდა გულსაკლავთა.

და მოადგილე გიორგიც  
შეეცყრო სევდა ვარამსა,  
იმისი კვნესა-ვეგბა  
ცასაც წვდებოდა მაღალსა.

ივანე სეკრეტარია  
ფიქრებს წაელო მწველებსა  
და უქონლობით თავზე თმის  
იგლეჯა ულვაშ-წვერებსა.


ანდრიაც, დამწუხოებული,  
ღვრიდა და ღვრიდა ცრემლებსა,  
ბიჭია, პარმენ, სამსონი  
მკერდში იცემდენ ხელებსა.

მიხაკოც ჩიხლაძებითურთ  
მოიკვნესოდა კრძალვითა,  
დიმიტრი ცრემლებს თვალეზე  
იწმენდდა ჩოხის კალიითა.

სხვებიც ტიროდენ ბათუმსა,  
უდრიოთ მიცვალებულსა  
და უსურეებდენ—ცხონება  
მინიკებოდა მის სულსა.

ასე მოგვიკვდა ბათუმი,  
გვეუფლა სევდა-ნალველი...  
ღმერთმა აცხონის, ერთ დროში  
ქალაქის ქონდა სახელი...

კენტი.



### გამოცანები.

(ლანჩხუთელებითვის)

ისრა მასრა, ის კინ არის  
ტყავის მძრობა ცოცხალ-მკვდარის,  
ძველათ დიდი ბლაფოჩინი,  
დღეს უბრალო მღვდელი არის.

თეთრი წვერი ჭაბურდნული  
ბეჭებშია მოლანდული,  
„დურმა-შხანულს“ ხშირათ გზავნის  
დაუკარჭლონ დრამა ფული.

მიქიაშეილს „იმგვარებში“  
არვინ ყავდა ამისთანა,  
დღეს ცრუმოწმეთ დასდგომია  
თვალით ხედავს ეს ქვეყანა.

თანაშეწევ კარგები ყავს  
სასახლო სამი პირი...  
მიქ-ევი გაამართლეს  
ეს ცნობილი ფარნის გირი.

**შხანულა.**

**ს ტ ე ნ ა.**

### გაჭრის ცხოვრებიდან.

ეჲ, ამ დღესაც მოევსწარით: გუშინდელი ჩემი დუქნის  
ბიჭი, დღეს ჩემივე პატონი გამხდრა და როგორც უნდა ისე  
მათამაშებს ის ხაზინია და მე მოჯამაგირე.

დილის ათ საათზე მოძრანდება, გეგონება ოქროენი  
სულის პროკლოვითა, ჩამოვა დუქანზი, შემოიდებს ფეხი-ტეხს  
და ზაგრანიჩი განეთს კითხულობს, თითქის გოსულარცა  
დუმის პრეცესებრელი იყოსო. მაგრამ რას ეტყვი კაცო, თუ  
უთხარი საქმეს არ აკეთებო, მაშინ ვაი შენი ბრალი! ხელათ  
მეფიატორცა სუდს დაგინიშნავს, მერე წადი სდიე. მე შენ  
გითხრა ჩევნი ჰამერის ხალხი იყოს შიგ, რომ რამე მოახერ-  
ხოს კაცმა. სულ საციმბირით სტუდენტებით და გძელთმიან  
ცოცილისტებით არის გაჭედილი იქაურობა. მერე ნეტავი  
გათქმევინონ რამდ... კაცო, ჯანდაბას ყველაუერი, თუ რამე  
არა სთქვი თავს გასამართლებლათ, მაშინვე გაგაჩერებენ: ეს  
საგანს ასცდიო, ეს კაცის პირს ნუ ეხებიო, რის კაცის პირი?  
რის საგანი? კაცო, ბიჭი დამიჭერია უნდა მემსახუროს. ვა,  
ღრუბენატორი ხომ არ არის, რომ ჰამ ჯამგირი ვაძლიოთ,  
ჰამ ბატონათ გავიხადთ არა, საღაურა ზაკონის კანონებში  
სწერია ერთი მიბრძანეთ თქვენი ჭირიმეთ? კაცო, ცამდის მა-  
რთალი რომ იყო, მაინც შენ გაგამტყუნებენ. შენა სტუზი,  
შე ბურჯუა შეაო, ვი, დივორი მისავარავ, ვას დივო-  
რი მართალი რომ იყო, მაინც შენ გაგამტყუნებენ. შენა სტუზი,

გ. ნუცუბიძე.





## წერილები ექვემდებარები.

სამცრედის ჩაითხო. მოვისმინე რა „ჯვარუმისტ“ თავადა-აზნაურთა ტებილი კამათი აგრძარულ საკითხზე და დავაცხრე რა ამ კამათით აღტყინებული მოკამათენი, სოფ. ეჭერისკენ ვქენი პირი. მინდოდა გამეგო როგორ ატარებდნენ ბრწყინვალე დღესასწაულს ეწრებლები. როგორც საზოგადოთ იციან, ეწრებლებაც ბურთის თამაში გაეძარათ. მე შორი-ახლოს დავდექი და დაუუწყე ყურება. უცბათ, შეიქნა ყვირილი, შენ მტერს მე რომ საქმე დამემართა, შიშით ერთი ისეთი შევხტი, ისეთი შევხტი, რომ შენი მოწონებული მეგონა „წესიერებას იყავენ“ და ამოგვხოცეს ყველანი მეტე. თურმე ნუ იტყვი, ერთ მოთამაშეს უხნი მოეტეხა და საშინლათ ღრიალებდა. მომცებდა ბრაზი, ვიძრე მათხახი და უცუწუნებ; რაკი ყვირილს უმატა დასამშეიდებლათ ჩემი უბარი წამალი მივაღებინე და სოფელ დათოურისაკენ გაექანდი, ვამების სამულობელოში. აქ ბრწყინვალე წოდებას კამათი გაემართა (მაშ თამაშის როგორ იყადრებდნენ, დარბაის ხელი ხალხია) ბქობდენ დღევანდელ საჭიროობოც კითხვებზე. ვამების მოღვაწეობას განქიქებას უშერებოდენ. როგორც კამათიდან გამოირკვა, ვაშების წყალობით სიმინდის ფასს დიდათ არ აუწევია იქ, რადგან ვამებს დიდი ღვაწლი მიუძღვის წყლის გაყვანაში თურმე. ვამების საკითხმა მოკამათენი ორ ბანაკად გაყო და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ იერიში მიიტანეს ერთი-მეორეზე, შეიქნა გვერდების ზელა. აბა მეც რა ხელს დავაკლებდი, ღრიო ვიშოვნე, ავათამაშე ჩემი მათხახიც და სრულიად კმაყოფილი გავუღები სოფელ დიდი ჯიხაიშისაკენ. იქაც ბევრი ხალხი ვნახე თავმოყრილი. განმარტობებით რამდენიმე კაცს მოეყარა თავი და გაცხარებით კამათობდენ. დაუგდე ყური, ორ დიდათ საინტერესო კ-თხვას არჩევდენ: 1) ქიფობა და 2) აკორდი. პირველი კითხვის შესახებ კრცელი მოხსენება წაიკითხა რაედენმა, ხოლო მეორეს ისებმა. სწორე უნდა გსთქვა როივე კარგათ მომზადებულიყო და ლირსეულათაც დაიცეს საკითხი. პირველ საკითხს ბევრი მომხრები გამოაუჩნდა. გასაგიერებლი სიტყვა წარმოსთქვა რათივილმა შემდეგ თემაზე: ლოთობა და მისი პოლიტიკო-ეკონომიურ-ტესხოლოგიურ-ტეზიზეურ-ზნებრივი გალენა თავდადებულ ლოთხვებისადან გამოიდან გამდებარებით გადასახლდებოდა.

ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ლოთობას ფრიად დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს უმეტესათ სოფლის ხალხისთვის. მომხრებებმა ტაშისცემით დააჯილდოვეს ორატორი, მოწინააღმდეგებებმა მუშტები მომართეს და სტუდია აქაც ჩხუბი. მეტი რა გზა მქონდა, ორატორიდან დაწყებული სათითაოთ ყველას ვაგემე ჩემი მათხახი.

მინდოდა ცოტა რამ აქაურ ფოსტის მოხელე ლადობები მომეწერა, როგორ ამოყო თავი ქუთაისის მაგივრათ ტფილისის ოკრუგში, მარა შემდეგისთვის იყოს.

„ჩორთიკ.“

### საღევახო.

აგი ჩენი საჯევახო,  
ეშმაკო ჯან, შენ რომ ნახო  
გაკერდები, იმდენია.  
საცემი და სამათხახო.

როცა დროება დაგირჩეს,  
წამინვილე აქეთ სამე,  
ჩენს განათლებულ საღვარშიც  
გაათიო ერთი ღამე.

თუ რომ დაროები მასტერმა  
გზას გადაღმა არ გაგიშოს,  
იმდენი მისტე მათხახი:  
რომ ვეღარ იანგარიშოს.

მერმე გადადი ბაზრისკენ,  
ზინგერის მაღაზიაში  
და ვინც რომ ნახო ჩამჯდარი  
ხელი წაჰკილე ყიაში.

ამ ახალგაზრდებს მუდამ დღე  
დასხემდათ კარტის თამაში;  
თუ გინდ წააღწევ ყველაი  
არ გაგმტუნებთ ამაში.

შემდეგ შენის ღუქანში  
თვალს მოკრავ კამათელსაო  
და იმედი გვაძეს გაქნევ  
მაგ შენს მაღლიანს ხელსაო.

აქ არის ხალგაზრდების  
მოთამაშეთა კლუბით,  
ისე გაპეარი, —მათხახი  
თვალში უჩანდეს შუბით.

ეგ მუღრებები უფრთხისა  
გაზეობსა და წიგნებსო  
და ან კი ამის გამეტსა  
ვითომ და რას შეიგნებსო  
რადგან იციან არღებზე  
ქეიფობა და თრობათ  
ურჩიე შენი „კუდინიც“  
მიირთვან ერთი გზობათ.

გამჭევი.

### საყდრიონიდან:

ქმაო ეშმაკო, ჩენ საყდრიონსაც  
გთხოვ არ დააკლო მათხახი მწველი,  
რადგან ჩენაც გვყავს სოფლის ურგები,  
სახელწოდებით გრიგორი მღვდელი.

ტყავი გაგვაძრო ამ უსამართლომ  
რასაც მიმოწებს მთლად მისი მრევლი,  
ერთ დროში კიდევ „ბუნტოვჩიკობდა“  
ეს ქსუერების თავის მოქრელი.

ზაგრამ, ძმაოჯან, წინეთ სხვა გაბლდა,  
ახლა სულ სხვაფერ მოქმედებს ხალხში:  
სოფლის ერთგულსა მასწავლებელსა  
„უდურმიშხანა“ პოლიციაში.

განკარგულების არ მოუცადა  
გადაუყრა ლოგინი კარში,  
და საყვარელი მასწავლებელი  
გარეთ დასტოვა სიცივა-ვდარაში.  
ეს არაფერი, ძმაო ეშმაკო,  
ზარისთვის ფული შემოგვაწერა,  
ვინც ვერ შევიძლეთ ფულის გადახდა,  
ბარგი-ბარხანა სულ აგვიწერა.

მისმა ასეთმა „ღვთის სამსახურმა“  
ღვერთს გეფიცებით მთლად გაგვაშტერა,  
მაგრამ ფულები მიაიმასქნა,  
სამრეკლოს ზარი არ უჩანს ჯერა.

ეგრე, ძმაოჯან, ჩვენაც გვეწვევ  
თან წამოიღე შენი მათრახი,  
და აგვიტირე მწარე ცრემლებით  
ეს უსამართლო მღვდელი ახმახი.  
იქნება ამით მან მოიგონოს  
„ერთ დროს ყოფილი, ერთ დროს ნანახი“  
ამაზედ მეტად არ გაგვიძვიროს  
წინ გასაძლოლი მკვდრების სამარხი.

ცხო-მთიული.



ანდოულაძის ლინეიკა (ბახვიდან ოზურგეთამდე).

### ბახვიდან ოზურგეთამდე.

ბახვიდან ოზურგეთამდე  
სულ შვილიდე ვერსია  
და ლინეიკით მგზავრობა  
ჩვეულება და წესია.

მეეტლის სიტყვა-პასუხიც  
ერთოვად მოსაწონია,  
იყიდი ბილეთს, დაჯდები,  
წხავალ და ჩახვალ გგონია.

ზაგრან დაიძვრის „კარეტა?“,  
მშვიდობით გვერდის ძვალები,  
მშვიდობით თავია, ფეხები  
განამწარ-განაწვალებო.

თხრილში თუ აჩად ჩაგჩეხა  
მაღლი შეწირე გამჩენსა,  
პატარა გაწამაწიას—  
ნახავ ვერც დათვლი იმდენსა.

თავის ოდენა ცხენები  
ფეხს აბიჯებენ ძლივასა,  
ზედ მეტა დაქანცულიაბით  
ვეღარც კი სჭამენ თივასა.

ძვალისა და ტყავზე დამდგარნი  
სპიჩის ღერს ემსგავსებიან,  
თუ ერთი წაიფორხილეს  
სამ საათს ვეღარ დგებიან.

პატრონი ამა „ურეტის“  
ძლიერ გულ-უხვი ჯელია,  
ვარს არვის ეტყვის მიაწყდეს  
თუნდაც სოფელი მთელია.

დაადებს ბარგი-ბარხანას  
ვისაც რა მოეზიდება...  
ზოგს თოკით ერავს, ზოგს აწყობს  
ზოგიც ხომ დაიკიდება.

შეწდეგ მგზავრებსაც ჩატყობს  
ხუთმეტზე არა ნაკლებსა,  
იმ რიგათ გაიქედები  
რომ დაგამტერევენ ბარკლებსა.  
ბოლოს დასტვენს „ბედაურს“  
ისინიც წელში წყდებიან,  
ბენცელ-ბენცელით ხან მესერს  
ხან ღობეს მიაწყდებიან.  
მიჩობავ განამწარები  
შენი შეეტლის ფაცისა,  
და როლის ჩახვალ ოზურგეთს  
ეს არც ეშმაკმა იცისა.

### დურღანელი.

თფილისიდან. ძმაო ეშმაკო!

ტარტარზთან გეახელი  
მან კი შენთან გამომგზავნა  
და მითხრა, რომ შენ გეკუთნის  
საღარაჯოთ ეს ქვეყანა.  
მაშ მონახე ვოგზლის ქუჩის  
ანდრევთან შესართავი,  
იქ ელისო დაგიხდება  
ქართულ პურის გამყიდვი.  
უთხარ: სასწორს ნუ აბრუნდებს  
და გირები დასდოს სწორათ.  
თუ ზურგი არ ექავება  
მას მათრახით გასაჯოხათ.

ქუთაისიდან. ძმაო ეშმაკო! ვიტუშკინის აფ-  
თავაქის აჩენდატორი ნიკო გრიგორია ძრიელ უმა-  
დურია შენი. რაძლენი სამათრახო საქმე არ მოუგ-  
ვარებია და შენ არავთარ ჯილდოს არ უგზავნი.  
დიდი ღვაწლი მიუძღვის მეტადრე „ფარმაცევტთა  
კავშირის“ წევრთა გაიმასქნაში. მას შემდეგ, რაც  
მისმა თანაშემწემ წამლებს შეცდომით მიამასქნა და  
ამით აყალ-მიყალი გამოიწვია, გრიგორია ხომ სულ  
აშეარათ იმა მოძოლა. ამ აგიტაციის შემდეგ კავში-  
რის წევრებიც კი დაიმასქნენს, მაგრამ ისევ გამო-  
აიმასქნეს. ეს არ არის, ძმაო ეშმაკო, მთელი მისი  
მოღვაწეობა, მაგრამ ამ მცირე წერილითაც დარ-  
წმუნდები, ხომ ერთი ორი მათრახის კუდი ალალი  
იქნება მისთვის.

### შავი.

ხაშური.

ძმაო ეშმაკ, მართალია  
ხაშურლები ბევრჯერ ნახე,  
მაგრამ მაინც ბლომათ დარჩა  
დამერწმუნე სამათრახე.  
იცი, ძმაო, რომ აქ შესდგა  
ძმა-ბიქების „კომპანია“?  
სულ ერთია მეგათოვინა  
ვინც მართალი და მტკყვნია.  
თავ უკულმა სჯიან საქმეს  
მოწინავედ ცნობილები,

და სიმართლეს გაურბიან  
ეგ უმანკო მსაჯულები.

ერთ კარგაზე მიმიწვიეს  
(ირჩეოდა სამართალი)  
ბრალმდებელი ხარხარებდა  
ამაყობდა ვით მართალი.

თურმე იყო, ძმაო მტკყვანი  
მაგრამ ყავდა ძმა-ბიქები,  
ტყვილის თქმაში ნაწრობები  
შენაფიც-შენაპირები.

კრება გახსნეს, ითათბირეს  
(ჩაუკირდი კარგით ძმაო)  
მართლად იყნეს „პეტრე“ მაგრამ  
დააღვინეს ის სტყუაო!!!

რა ეს ვნახე გამიკვირდა  
გული სევლით ამერია,  
არ ვიცოდი ჩვენს მუშებში  
ასეთებიც თუ ერია.

მხოლოდ „საშიკოს“ ვიცნობდი  
უფას გოგრა ცარიელსა,  
კოლასა და ისიდორეს  
მოწინავედ ცნობილებსა.

მათ გონიათ რომ სიმართლეს  
არ ექნება გასავალი?  
კერძო შურით გაედგნთილსა  
ანეციათ გზა და კვალი ..  
როს მოხვიდე, გვინახულო  
შეეკითხე მათ ქცევაზე,  
და უთხარი რად გამწყალან  
ნეტავ აგრე ზეობაზე?

მათრახიც ხო თან გექნება  
გადუჭირე მათ რიგ-რიგათ,  
რომ სიმართლე გაიხადონ  
მომავალის გზა და ხიდათ.

რიგა.

**ს. ქვიტირი.** მამასახლისი უუბანეიშვილი და  
მისი მწერალი კუხანიძე ძალიან „გამასქლენ“ და  
ალებასა ქანქარისა, გამოსარჩენათ წოდებულისა,  
არა აქვს დასასრული. ეხლა გამოიგონეს გზის კე-  
თება და ისეთი „დაზადი“ აქვთ, რომ თქვენი მო-  
წონებური. თუ მათრახის ლირის იყონ, ნუ დაგვი-  
გვიანებთ, გამოგვიგზავნეთ.

სიკვდილი.

**ს. შემოქმედი.** აქ შესდგა სამი ახალი პარ-  
ტია, „ვასილოსტები“ — ლიდერი ვასილ ყარგიშვი-  
ლი; „ამბ-კისტები“ — ლიდერი, ამბაკო ლეგენდა და  
„მირიანისტები“ — ლიდერი მირიან აბაშეძე. ამ ას-  
ლო ხაში თვითონეულ პარტიას საკუთარი სიეზდი  
ქონდა და პროგრამაც საბოლოოთ შეიჩუმებეს.  
ეხლა მხოლოდ თქვენი მათრახი აკლია და იმედი  
გვაქას არ მოაკლებთ.

ჩაქეხელი.

ს. მუხური (სამეგრელო). სამი წელიწადი იქნება, რაც სამი, ღვთის კაცი” ავათ გაგიხდა, კევვაია, ქუთარი და გახა. 1905 წლიდან სამივეს საშინელი ქნის ქავრი აქვთ ავარდილი და ვერავითარმა საშუალებაშ ვერ გასკრა დღემდე და მათი განკურნება არ იქნა. ყველა ექიმებმა გასინჯეს, გომართელმაც კი ნახა, მარა მათ აფათმყოფობას ვერავერი გ უგდს. ხელა გადავწყვიტო, ქსინჯოთ ოქვერი „სპერმაკულინი”, იქნება ღმერთმა მოგვხდოს. გამოგვიგზავნეთ სამი ბოლო. ამასთანავე ჩემი მღვდელისთვის ცალკე გამოგვიგზავნე უფრო სხვაფრივ შემზადებული, რადგან ის სხვაფრი ავათ არის.

გამომძიებელი ეშმაკი.

### მერევის საზოგადოება (შორაპნის მაზრა).

მათ ეშმაკი! გისურვებ

სატანამ გმატოს დღენია,

რომ დაგვივიწყე არ გვნახე

ეგ ძნელი მოსათმენია!!

უშერბობით სოფელი,

ძალიან მონაწყენია.

აქეთაც ბევრი არიან

სინდისით შენარცხვენია,

სკირდებათ შენი შათრანი

გვერდებზე დასაფენია.

პირველათ ნახე არჩილი

როსტევანისა ძენია,

ბარათაშვილი „მწერალი“,

ხალხისგან შენაჩენია.

დიდი ხანია დაიწყო,

საგმირო საქმე ქებული,

გლეხები სულ მთლათ გასწურა,

კუპი ვერა ჰყო ვსებული.

ერთობის დროში შეიქნა

ხალხისგან გაშავებული.

რადგან სინდისი გაყიდა,

ქანარით ამოცხებული,

და გაიპარა ქუთაისი;

უპირო გაშავებული.

კვალად მობრუნდა სოფელში

გლეხებიც დაჰყვენ ნებასა,

ცხრასს მანათა ძლევენ,

მით შეეყარენ უნებასა.

ხომ იცი, მათ ეშმაკი,

ნაჩვევ არს ჯიბის ვსებასა.

გამოსარჩენი არ აჰერას

ველაც გაუძლებს სნებასა.

იქავე არის „სტარშინა“,

ახმანი, ქერა თმიანი,

ფთხილათ იყავი ეშმაკი,

არ მოგაყენოს ზიანი,

სუნით დაექებს ეშმაკებს,

რომ დაიკიროს რეიანი

სადაცა ჯერ არს გაგზავნოს

დღე ველაც ნიხოს მზიანი.

მაშხალა.

ქ. ფოთი. მმათ ეშმაკი! ჩენ ბაყაყეთში ბევრია სასტერმაკუდინო, ბევრია სამათრახო, მაგრამ ყველას ერთბაშით ვერ გაუტორდები. ჩამოლი ერთი, შეიარე უპრავაში და დასცხე შენი მათრახი ყველას, რადგან ისინი ქანქარის ყლაპვის მეუს არა აკოტებენ. დაცხე აგრეთვე ალექსი ბზიავის, პავლე რორუს, ჩიქოვანს და სხვა ქართველ შავრაზელთა ბელადებს, რომლებიც დურმიშხანული ონებით მუშებს მახებს უკებენ.

შემდეგ შენის მათრახით ჩაუარე ბეგლარ მამალაძეს, გოგი შარაშიძეს და აქსენტი აბსავას და ყველას ეამბორე შენი მათრახის კუდით. თანაც უთხარი კამათი კამათია და მუშტები მუშტებიათქო. სხვებზე შემდეგ.

ფოთელი ფედერალისტები „კეშმარიტ ქართველთა ტიპიური წარმომადგენლები არიან. ბ-ნი მიხა ამ მხრივ პირველია. ეს „კეშმარიტი ქართველი“ ჩინებულათ ხელმძღვანელობს ფოთელ შტრეიქ-ბერების, ყველგან ეჩინირება, კარგათაც სტანციას ქანქარებს. ის არაფერს ზოგავს, ოლონდ უჯარო გენერლებმა არმია იშოვონ და ი კარგი ამინდიც დაუდგათ. მზათ არიან მათთვის ბზიავა ჩიქოვან-რორუს და კომი.

მედგარის დღიურიდან. „რაც იაკობი ფოთს მოშორდა, მას შემდეგ ჩემი კარის გუდა დაკუნა, მას შემდეგ ჩემი მოკიციე კალამი დადუმდა. ჩემი სულიერი მამი იაკობი რაც ნიკობურგს მოშორდა, მას შემდეგ ბევრს ვეცალე, მაგრამ ვერ გავბერე ქორების ქამანჩა აქაურ ესდევებზე. ხელი მიყვე არშიყობას, მაგრამ აქაურ ვერს გაეხდი. დამებმა ჩემი ბანაკიდან სულ სამასხროთ ამიგდეს. ბულვარში ხშირათ გამოვლივარ, მაგრამ ჩემი კეშმარიტ ქართველური გული ბრაზით ივსება, როცა შეგნიშვნას, რომ ქართველი კაცი სემინას ლეჭავს. რა გარყენილობა! დღეს ვეკიფობ. მაქს რითაც გავიხარო. ჩემი მოსისხლე მტერს ციხეში ჩაუსვამთ. ოჯ, ვაცოცხლე ის პრისტავი, რომელმაც ეს საშვილოშვილო საქმე მოიმოქმედა. დღეიდან თავისუფლათ ამოვისუნთქავ, მაგრამ ვაი თუ გამოუშავნ! გავიგდ ტულუშას სტამბას კეტავენო და სიხარულით ფეხზე ვერ ვდგები; ჩვენ ასეანელ პრაკოფის და გოგია შარაშიძეს კონკურენტი მოაკლდებათ. ეს მერამდენეჯერა დაიმასქნეს ტულუში პოლიცია, მაგრამ მაინც მოახერხა სტამბის გაღება. ვეკიფობ დღეს მე, ქეიფობს მიხა, გრიშა, კოჭია, მთელი ჩვენი ბანაკი ბანაკი ამ ამბით გახარებული! მაშ გაუმარჯოს ვინ-ლანის დამჭერს, გაუმარჯოს არესტებს. ვოლდებარ.

დ. უპირილა. — ერთი მუშა გაგვიხაზეინდა. რასაკირველია, როგორც ხაზენს შეფერის, გახაზენებასთან ერთათ ხელათ შეეთვისა ყველა მისი თვისებები და უმეტესათ ლანდღვა-გინება. თუ იმას წინათ თავის ხაზენს ლანდღვადა, სამაგიროთ ის ეხლა თავის მუშებზე ყრილობს ჯავრს და ერთი რით ლანძღავს. ამას წინათ ერთი მუშის „შემუშტაცაც“

კი მოინდომა, რაღან მან სამ მანეთათ და ისიც ნისიათ ათასი აგური არ დაუმზადა. სანამ გვიან არ არის მათრახი ძალიან არგებს.

გრიცო.

**ბორჯომი.** — მეტათ უხერხულ მდგომარეობაში არიან ხეთისო შალუტაშვილი და ივანე მელაშვილი. რამდენი ხანი იყრიში მიაქვთ შვილებზე და შვილი შვილებზე, მაგრამ არაფერი ეშველით ვერ გარეს სახლიდან. ერთხანთ აუმინის ჩრაუპასაც კი მიმართეს — დაიქირეთ ჩვენი შვილები და მოგვაშორეთ, მაგრამ ამაռთ. აბა უსაბუთოთ ჩას იზამდენ. ძალიან მოხუკებული არიან და 10 წვეთი სპერმაკუდინი კუფით გონიზე მოსაყვანათ. კანტორშიკ მშაუზნაძეს და მამულის მმართველს სპერმაკუდინთან ერთათ მათრახიც აუკილებლით დასკირდებათ, უმეტესათ მიშას, რაღან სხვის ლობეზე ხტომა დაიწყო ამ ბოლო დროს.

ანტონია.

**ნახალოვეკა.** — სახლის პატრონ გლახა მიქაელი მდგმურების ლანძღა გინება დასხემდა ამ ბოლო დროს მას მხარს უკერს ს. ძნელაძე (მუშა). ორივე ერთათ კი მათრახის მოლოდინში არიან.

ნახალოველი.

**ხონი.** — ჩვენებული მეყასბე—მეპურეები მეტათ გაიტაცა ქანქარის სიყვარულმა მათზე ალარივითარი, ნიხრი ალარ მოქმედობს, როგორც უნდათ ისე ყიდიან კულებაფერს. ყასბებ—მეპურეებზე არა ნაკლებ შეუყვარდა ქანქარი—თუ რაღაც ჯანდაბა ფოტოგრაფ სოსელიებს. თუ „დაფათრეთდა“ ვინწე ვაი მის დღეს, თუ „ფათრეთი“ პატრონს არ დაგმსზავსა (რაც ხშირი მოვლენა) პატრონმა აუკილებლით უნდა წიაღის, რაღან ხელ—ახლა გადალება სოსელიების პრინციპის წინააღმდეგია. ამ სენსაციურ ამბების გარდა აქ ორმა ახალგაზდამ ხელი მცყო „ვეჩერინკების“ გამართვას, რაღან „დოხოდნაია სტატია“ გამოდგა. ეხლა განუძრახავთ „ვეჩერისტების“ საზოგადოების დაარსება. ერთი სიტყვით ხონის საქმე უკულმა ტრიალებს და მეტათ საჭიროა ერთი მათრახის დატრიალება.

შენი ურჩი.

**ს. აბაშა.** მარსლა თუ რომ ეშმაკი ხარ, აბა მითხარი სად არი? ჩვენი სამკითხველოსათვის შემოწირული ქანქარი? აბა შიჩვენე რა იქნა: ან ნიკეთი ანუ ცხვარი?\*) მითხარ რას შერება მზრუნველი, ან კომისია საწყალი? თაგვებს რათ მისცეს წიგნები, რამ დაუბნიათ დაფათრი?

ნორცხა.

\*) ქანქართან ერთად შესწირეს ნიკეთი და ერთი ცხვარი თუმცა და დღეს აღარა სჩანს არც მისი გზა არცა კვალი

## ღ ე პ ე ბ ე ბ ი

(საკუთარი კარესპონდენტისგან)

სამტრედია. აქაურ „უბლებში“ კაი გრახის წარმოდგნის დროს დ. ჩარგვინის დამბლა დაეცა. ის დაუკუთხებლივ გაგ ზაფირი იქნა ფთხის საავათშეთავთში.

**იქიდანვე.** ამ მოკლე ხსნში წარმოდგნიდ იქნება „დამარცხებული“. ფნით ბერდაშვილის როლს შეასრულებს ვ. გოგია. რევისორი კარ. კობახიძე.

**კულაში.** გერიჩა, გეგენა, გიორგი და შის მეუღლის ლანძღა—გინება დაქმართათ და აფათ არიან. მთაბა შეგვლეთ „ებდინი“.

**ლოხაური.** ჩიტილაურზე კ. შ და ლ. ჭ—ს დუქაში რამდენიმე ასაღგაზდებმა კამათლებს და დვინის ცუდი დღე დაავენებს. რომ ისტორიაში არ დაივიწეოს მათ დაგწლია, თუ მათრახიც არ გასჭრა, შემდეგ ში აღვებებდოთ თქვენ უკრალში მათი სახელგარები.

**ფოთი.** ჩარინის ცირკში ზამუქოვის და მაისურაძის ჭიდაბის დროს პატრიოტულმა გრძნობაში იყენებს. აქაურშა „ჭეშმარიტშა ქართველებმა“ ქართველური გულადობა გამოიჩინებს და „სამუშტოთ“ დაქმადენ. არავინ დაშვებულა.

**მოხანი.** აქ შესდგა თრი ძღიერი პარტია, მთხილეისტოა \*) და „გაღლენისტოა“. მოხარეისტოა დაიდერები არიან იოსებ შეღაძე და ისიდორე, „გაღლენისტოა“ გამოიედი და საბა შედამშერიძე. პარტიებს დიდი შეჭახება მოსიათ.

**გუბი.** მთხე, მიხა და გიორგის დუქაში სახალხო საკარტო უნივერსიტეტი გახსნეს. ასაღგაზდობა ძალზე გრანატების არავანება.

**ქუთაისი.** ფარმაცევტების შაპებშა „ალითშა“ და „იუსტინე“ ამ ქუთაისში გახსნეს აფთიაქის შეგირდების გასატეავებული ქარხანა. აქაურების შემს ბაჟერებს აქტრაცია და ენდა სხვა სხვა ქალაქებიდან იწყევენ ტეატრალურობაში.

**ქ. პერმი.** პერმის გუბერნიის გადასახლებულები დიდ მაღლობას სწორები ქართველი ს. უკრანისტების რომ პარტიის მიზნით უარი უთხრებს „ამირანის“ გაბაზნები.

**ჩოხატაური.** — ფოსტის ქანტორის გამგებები ბ. ბერებლიერი ავათ გაგების და როცა სტუმრათ არის საზრი სტრონებული აუგადაზებების და იქ დამსწრეთ დანძლდება. აქაური ექიმი ქანქარის მოუვარული კაცია და უფეხლოთ არ სწორდობს, თორემ იქნება განკუნებულიერ. ქედა გადინი უნდა ვერადოთ.

**ჯურულებოთი.** დიმიტრი გიგინებიშვალის შეთაურობით აქაური თავადაზნაურობა ხელათ გაუგედერალისტიდა და როგორც პარტიის პროგრამის შირებელ შეხვეძიშვირია, მოღვაწეობა ს. დემოკრატების ლანძღა—გინებით დაიწყებს. გადაწევეტილი აქვთ მოიწვიონ გოთუა—გუნა, რომ უფრო ქარგა შეასწავლონ ლანძღა—გინების დეპისით.

\*) მოხილვა მეტრულათ ნიშანებს ქურდობას.

**„ეჭვაპის მათრახის“ ფოსტა**

თ-ებ გოგიზილს—თქვენი „გურული სცენა“ და ლექსი „გამოცანა“ არ დაიბეჭდება. ვინაიდან არც ერთი და არც მეორე...

**პახიანური**—გზათ გამვლელს: „დაგვეხმარეთ“ არ დაიბეჭდება.

**ოჯურებითი**—ციხისუბერლს—სწორეთ ცეცხლია თქვენი „ის რა ცეცხლია“-ს დაბეჭდვა და ნუ გეწყინებათ თუ ვერ ვბეჭდავთ. გამომიყენება ეშმაკს—გამოვიძიეთ და ვერ ვბეჭდავთ. პროხათ აკობებს.

**პასტაცია**—ვლა ღიმერს. ვერ გაიგეთ, რომ ბოქაულებზე წერა არ შეიძლება და მათი მოქმედების განქიქჩა ძვირათ ღირს? თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**რაკაპიშეს.**—თქვენი ლექსები ვერ დაიბეჭდება გარდა ერთისა.

**ოტორ-მაღარის ჩარხანა:** ლადიმერს—ლექსი არ დაიბეჭდება.

**ჯუბათი**—მეხს. თქვენ წერილს ვერ ვბეჭდავთ. თუ გზათ მოგვიხდა გამოვლა თქვენ სადგურის უფროს და მის თანაშემწეს გავაიმასხაზთ.

**ჯუბათი**—მეხს. მამასხლის მწერლები საზოგადოთ ქანქარისტები არიან და რათ გიყვირსთ, რომ თქვენ მწერალ-პამასახლისაც ჰქონდეს „გამოსარჩენის“ მიღრეკილება.

**ჩირთურა**—კალ—კე ჭანჭათელს. რათ გიყვირთ, რომ პერევისის მამასახლისი ილანძღება? ეს ყველა აღმინისტრა ტროის პროგრამის პირველი მუხლია? ლანძღვა არაფერია თუ მასსაუც არ იცის.

**შუთაისი**—კლიკვაძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**შარო ნავთლულის.**—თქვენი ლექსი „მუშა“ არ დაიბეჭდება.

**ბარო ხელიძეს**—თქვენი ლექსი „გუნიას რაზმი“ აბა რა დასაბეჭდია.

**თურდოსაისისლის.**—თქვენი ლექსი „გალოვისნებების მოსიარულე მოსწავლეთ“, რომ დაბეჭდოთ ბატები გვიჩივ-ლებენ.

„ზგუნურნო ბატები ვით

თავი ზე რომ აგილიათ,

დაწანწალებთ დალაქლაქებთ

პირი უშნოთ დაგილიათ“.

ასე იწყება თქვენი ლექსი და მასწავლებმა რომ არა-ფერი სოჭვან, ბატები ხომ მინც არ შეგვარჩენენ გალანძღვას. ასე „გაზაფხული“ დაიბეჭდება.



ქუთაძესის ქვაფენილი.

იოლათ ნუ დაენდობით  
ქუთაძესის „ქვა-ფენილებს“,  
საღმე ორმო დაგიხვდებათ  
და დაიმტვრევთ წინა კბილებს

მისთვის ზრუნვა დაავიწყდათ  
როგორც „მმებს“, ისე „შვილებს“  
რაკი ტებილათ ჩაებარგენ  
სამსახურის ბუდე-თბილებს.  
არწივი.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.